ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**g-75.75213131**
თარიღი:**09/11/2021**

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მიერ 2021 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,გ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-2 პუნქტისა და ,,ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №48 65 განკარგულების საფუძველზე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო;

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა :

მუხლი 1.

ცნობად იქნას მიღებული, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი ანგარიში, 2021 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ, დანართი №1 და დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 2.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 3.

განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

ნატალია კობახიძე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი №1

დამტკიცებულია:

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2021 წლის 09 ნოემბრის საკრებულოს სხდომაზე.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის ანგარიში, 2021 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ.

სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური წარმოადგენს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების მომზადება-განხორციელების კოორდინაციას, სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმვას, ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის, ტერიტორიის კეთილმოწყობის მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების მომზადებას და მათ განსახორციელებლად რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავებას.

სამსახურის ძირითადი ფუნქციაა, სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის მუნიციპალური ინფრაქტრუტურული პროგრამების შემუშავება და განხორციელება, სათანადო ინფორმაციის შეგროვება-დამუშავება. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შექმნის, რეაბილიტაციის და განვითარების დაგეგმვა, მათი განხორციელების კოორდინაცია.

ინფრასტრუქტურის მათ შორის, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება სახელმწიფოს პრიორიტეტული სფეროა, იგი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ბიზნეს-სექტორში ინვესტიციების მოზიდვას, ტურიზმის განვითარებას, მცირე და საშუალო მეწარმეების, სოციალურ-ეკონომიკური ფონის გეგმაზომიერ განვითარებას, სამუშაო ადგილების შექმნას, ადგილობრივი წარმოების ზრდას და შესაბამისად, მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

წინამდებარე ანგარიშის პროექტი ძირითადათ მომზადდა იმ ვალდებულებების შესაბამისად, რომელიც 2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელებისათვის შემუშავებულ სამოქმედო გეგმაშია გაწერილი. აღნიშნული დოკუმენტი მოწონებულ იქნა სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს მიერ.

მოცემულ ანგარიშში ძირითადათ ასახულია რ.გ.პ.ფონდის, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის, საჯარო სკოლების რეაბილიტაციების და ადილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსირებულ ინფრასტრუქტურული სახის პროექტების მიმდინარეობა.

საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტყვეტილება, 2021 წლის განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები დაეგეგმა და განესაზღვრა სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში.

აქედან გამომდინარე, 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს წარმოგიდგენთ აღნიშნული პროგრამების შესაბამისად.

<u>რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი</u> 2021 წლისათვის ორ ეტაპად დაიგეგმა და მოიცავს 19 ძირითად ინფრასტრუქტურულ პროექტს, რომლის შესრულების უზრუნველყოფის

მიზნით, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის # 2685 და 2021 წლის 31 მაისის # 885 განკარგულების (საბოლოო რედაქცია) შესაბამისად, ფონდიდან გამოიყო 4 438 816 ლარი.

აღნიშნულ სამუშაოებს წარმოგიდგენთ ცალკეული პროექტების სახით:

1. სოფლების შიდა გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია.

ზემოთაღნიშნული ასიგნებების ფარგლებში დაიგეგმა სოფლის შიდა გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით 13 მიმართულებაზე:

- სოფ.ცუცხვათში შიდა სასოფლო გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია
- სოფ.წყნორში(ფოჩხისოული) შიდა სასოფლო გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია
- სოფ.კითხიჯში შიდა სასოფლო გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია
- სოფელ მოწამეთაში შიდა გზის ბეტონის საფარით მოწყობა
- სოფელ ნაბოსლევში (ქათამაძეების უბანი) შიდა გზის ბეტონის საფარით მოწყობა
- სოფ.საწირეში(ცირეკიძეები-გაგრძელება) შიდა გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია
- სოფ. ქვედა ბუეთში შიდა გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია
- სოფ.ოჯოლაში შიდ გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია
- სოფ.მანდოკორში შიდა გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია
- სოფ.ძმუისში(ცენტრამდე) შიდა სასოფლო გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია
- სოფ. წყნორში(ბაგინეთი) შიდა სასოფლო გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია
- სოფ.კურსებში(შუა აბესაძეები) შიდა სასოფლო გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია
- სოფ.ცუცხვათი-ძუყნურის დამაკავშირებელი შიდა სასოფლო გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია

სამუშაოების განხორციელებისათვის გამოცხადებული იყო ხუთი ელ. ტენდერი, გამარჯვებული კომპანიებია:

შ.პ.ს. „მეკა“ (ცუცხვათი, წყნორი(ფოჩხისოული) და კითხიჯი). ხელშეკრ. ღირ-ბა 331 998. აღნიშნული სამუშაოები წარმოადგენდა 2020-2021 წლების მრავალწლიან შესყიდვას. პროექტით განსაზღვრული ფაქტიური სამუშაოები დასრულებულია. საბოლოო მიღება-ჩაბარება გაფორმებულია.

შ.პ.ს. „ჯეო როუდ ინვესტი“ საწირე (ცირეკიძეების გაგრძელება), ქვედა ბუეთი). ხელშეკრ. ღირ-ბა 504 034. აღნიშნული პროექტი წარმოადგენს 2021-2022 წლების მრავალწლიან შესყიდვას. 2021 წლის სამუშაოები დასრულებულია. მიმდინარეობს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

შ.პ.ს. „გი-ან 2011“-ი (ოჯოლა, მანდიკორი, ძმუისი და წყნორი). ხელშეკრ. ღირ-ბა 692 996. სამუშაოები სამი მიმართულებით დასრულებულია. მიმდინარეობს სოფელ ოჯოლის გზის რეაბილიტაციის სამუშაოები. სამუშაოები შეჩერებული იყო წყალტუბოს მუნიც. გზის (სოფ.ლეხიდრისთავი) სამუშაოების გამო. რომელიც სარგებლობდა საპროექტო გზით. პროექტის დასრულების ვადაა 2021 წლის 24 ნოემბერი.

შ.პ.ს. „ჯეო როუდ ინვესტი“ (ცუცხვათი-ძუყნური, კურსები(შუა აბესაძეები). ხელშეკრ. ღირ-ბა 277 464. პროექტით განსაზღვრული ფაქტიური სამუშაოები დასრულებულია. მიმდინარეობს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების პროცედურები.

ზემოთაღნიშნული სამუშაოების შედეგად დამატებით კეთილმოეწყობა 9700 გრძ/მეტრი შიდა სასოფლო გზა რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივ მცხოვრებთა სოციალურ-ეკონომიკურ და საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესებას. მნიშვნელოვან ბიძგს მიცემს ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების ეფექტურად განხორციელებას.

2. ქ. ტყიბულში, # 3 საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია.

უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლიდან შემუშავდა და დაიგეგმა მუნიციპალიტეტში არსებული საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის გრძელვადიანი პერსპექტიული გეგმა. აღნიშნულის შედეგად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პირველი რიგის პრიორიტეტად განისაზღვრა საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

გასული წლების განმავლობაში ქალაქში არსებული ექვსი საბავშვო ბაღიდან აშენდა და სრულად რეაბილიტირდა ოთხი ობიექტი. სოფლებში სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფელ გელათის საბავშვო ბაღს. მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა მუნიციპალიტეტში არსებულ ყველა საბავშვო ბაღში.

აღნიშნული გეგმის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ქ. ტყიბულში, # 3 საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაციის სამუშაოები.

საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, სამუშაოებისათვის გამოიყო 607 738 ლარი.

გამოყოფილი ასიგნებიდან რეაბილიტაციის სამუშაოებზე, ტენდერის წესით გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია შ.პ.ს. „თაგი“(ხელშეკრ. ღირ-ბა 540 000 ლარი).

პროექტის ფარგლებში განხორციელდა ობიექტის სრული რეაბილიტაცია (ინტერიერი, ექსტერიერი), მოეწყო ცენტრალური გათბობა, რეაბილიტირდა სახურავი, მზა კერძებისა და პროდუქტების ასაზიდათ მოეწყო ლიფტი.

საანგარიშო პერიოდისათვის კომპანიას ფაქტიური სამუშაოები დასრულებული აქვს. მიმდინარეობს გათბობის მაგისტრალის დატესტვა და დასუფთავებითი სამუშაოები. საბოლოო ექსპერტიზის წარმოდგენის შემთხვევაში გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

3. ქ. ტყიბულში, აფხაიძის ქუჩაზე და სოფელ სამტრედიაში მინი სპორტული მოედნის მოწყობა-რეაბილიტაცია

ქალაქის დასახლების ცენტრალურ ნაწილში შედარებით კომპაქტურადაა განთავსებული სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტები რასაც ვერ ვიტყვით ქალაქის უბნებსა და სოფლებში.

მუნიციპალიტეტის სპორტული ტრადიციებიდან გამომდინარე და ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის და გაუმჯობესების მიზნით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ქალაქის ერთ-ერთ უბანში და სოფელ სამტრედიაში მინი სპორტული მოედნის მოწყობა-რეაბილიტაციის თაობაზე.

საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, სამუშაოებისათვის გამოიყო 95 663 ლარი.

გამოყოფილი თანხიდან რეაბილიტაციის სამუშაოებზე, ტენდერის წესით გამოვლინდა გამარჯვებული ინდ. მეწარმე კახი ბუბაშვილი(ხელშეკრ. ღირ-ბა 95 618 ლარი).

პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს შემდეგი სამუშაოები: სოფელ სამტრედიაში არსებულ მოედანზე მოეწყობა ბუნებრივი ბალახის საფარი, ლითონის ბადის ტიპის ღობე, ფეხბურთის კარებები, კალათბურთის ფარი, თანამედროვე სანათები. აფხაიძის ქუჩაზე მოეწყობა ასფალტო-ბეტონის საფარი, ლითონის ბადის ტიპის ღობე, ფეხბურთის კარებები, კალათბურთის ფარები, თანამედროვე სანათები.

დღეის მდგომარეობით სამუშაოები მიმდინარეობს ორივე მიმართულებით დადგენილი გეგმა-გრაფიკის შესაბამისად. პროექტის დასრულების ვადაა 2021 წლის 20 ნოემბერი.

4. მრავალბინიანი კორუსების გარე ფასადების რეაბილიტაცია.

ქალაქის ცენტრის ურბანული განახლება, გარეუბნებში სწრაფი ურბანული განაშენიანების გამომწვევია. მას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ქალაქის ზოგად იერზე. ეს ფაქტორი გადამწყვეტ როლს ასრულებს ტყიბულის ისტორიაზე, დემოგრაფიასა და ზოგადად მის შემდგომ განვითარებაზე.

აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით გასულ წელს მიღებული იქნა გადაწყვეტილება დაგვეწყო მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების გარე ფასადების რეაბილიტაცია თუმცა ობიექტური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა სამუშაოების განხორციელება.

მიმდინარე წელს, შეირჩა ქალაქის ცენტრში მდებარე 9 ერთეული კორპუსი: ახობაძის # 6, გელათის # 8, გელათის # 10, გელათის # 16, გელათის # 20, გელათის # 24, რუსთაველის # 1, რუსთაველის # 5, რუსთაველის # 9.

საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, სამუშაოებისათვის გამოიყო 1 572 583 ლარი.

გამოყოფილი თანხიდან რეაბილიტაციის სამუშაოებზე, ტენდერის წესით გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს. „თ.ბ-კაპიტალი“ (ხელშეკრ. ღირ-ბა 962 805 ლარი).

პროექტის ფარგლებში სამუშაოები მიმდინარეობს გეგმა-გრაფიკის დარღვევით, რაზედაც შემსრულებელს ერიცხება დადგენილი ოდენობის პირგასამტეხლო.

საანგარიშო პერიოდისათვის დასრულებულია ოთხი კორპუსი, მიმდინარეობს დანარჩენი ოთხი კორპუსის დეკორატიული ლესვითი და სამღებრო სამუშაოები. ახობაძის ქუჩა # 6 კორპუსის სახურავი სრულად გადაიხურა სხვა სამუშაოები აღნიშნულ კორპუსზე ჯერ არ ჩატარებულა.

5. მრავალბინიანი კორუსების შიდა ეზოების რეაბილიტაცია.

როგორც თქვენთვის ცნობილია, ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებულია 150-მდე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით წლებია მიმდინარეობს კორპუსებში დაფუძნებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების დახმარების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სახლების სახურავების, შიდა წყალმომარაგების სისტემების, დაზიანებული კედლებისა და არსებული ლიფტების რეაბილიტაციას. აღნიშნული პროგრამა არ ითვალისწინებს კორპუსების შიდა ეზოების რეაბილიტაციას რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სავალალო მდგომარეობაშია. აღნიშნული ეზოების სავალ ნაწილს კაპიტალური შეკეთება არ ჩატარებია 30-40 წელია.

აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე და ცენტრალური ხელისუფლების ფინანსური მხარდაჭერის შესაბამისად, გარკვეული წლებია მიმდინარეობს შიდა ეზოების რეაბილიტაცია. ამ ეტაპისათვის ქალაქში ორ ათეულზე მეტი ეზო უკვე კეთილმოწყობილია და გრძელდება არსებული ტენდენცია.

საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, სამუშაოებისათვის გამოიყო 1 155 527 ლარი.

გამოყოფილი ასიგნებიდან შიდა ეზოების რეაბილიტაციის სამუშაოებზე შეირჩა 18 ეზო და მრავალწლიანი ტენდერის საშუალებით გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია შ.პ.ს. „ჯეო როუდ ინვესტი“(ხელშეკრ. ღირ-ბა 969 907ლარი).

შერჩეული ლოკაციებიდან მიმდინარე წელს უნდა განხორციელდეს 12 ერთეული ეზოს რეაბილიტაცია ხოლო მომავალ წელს დანარჩენი 6.

პროექტის ფარგლებში სამუშაოები მიმდინარეობს გეგმა-გრაფიკის დაცვით. 12 ობიექტიდან ფაქტიურად დასრულებულია 10 ობიექტი.

მიმდინარე წლის ვალდებულების შესრულების ვადაა 2021 წლის 20 ნოემბერი ხოლო პროექტი სრულად დასრულდება 2022 წლის მაისის თვეში.

ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის მიერ შერჩეული იქნა რამოდენიმე სარეაბილიტაციო ინფრასტრუქტურული პროექტი რომლის რეალიზება უნდა განხორციელდეს გასულ წლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან დარჩენილი **ეკონომიებისა და ნაშთების** გამოყენებით.

ცენტრალურმა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება და მთავრობის 2021 წლის 13 მაისის #779 და 2021 წლის 29 ივლისის #1302 განკარგულების საფუძველზე, მუნიციპალიტეტს მიეცა უფლება განკარგოს ეკონომიებისა და ნაშთებისაგან მიღებული თანხა 214 685 ლარის ოდენობით და გამიყენოს შემდეგ პროექტებზე:

- ✓ დუმბაძის ქუჩაზე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია-60 613 ლარი,
- ✓ გელათის ქუჩა # 22 და 24 კორპუსების შიდა ეზოების რეაბილიტაცია-55 3213 ლარი,
- ✓ იმერეთის ქუჩაზე სტიქიის ლიკვიდაციის ღონისძიებისათვის საყრდენი კედლის მოწყობა-32 565 ლარი,
- ✓ ჯალაღანიას ქუჩა #12 და 16 კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია-5 669ლარი,
- ✓ სოფელ ხრესილში, მეწყერის შედეგად დაზიანებულ საავტომობილო გზაზე საყრდენი კედლის მოწყობა-28 090 ლარი,
- ✓ სოფელ წყნორში საფეხმავლო ხიდის რეაბილიტაცია-20 679 ლარი,
- ✓ სოფელ ძმუისში, საავტომობილო ხიდის რეაბილიტაცია- 11 856 ლარი.

აღნიშნული პროექტებიდან დასრულებულია: ჯალაღანიას ქუჩა #12 და 16 კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია, გელათის ქუჩა # 22 და 24 კორპუსების შიდა ეზოების რეაბილიტაცია, სოფელ წყნორისა და ძმუისის ხიდების რეაბილიტაციის სამუშაოები.

მიმდინარეობს დუმბაძის ქუჩაზე სპორტული მოედნის რეაბილიტაცის სამუშაოები, შემსრულებელი შ.პ.ს. „გზები 2“.

სოფელ ხრესილში, მეწყერის შედეგად დაზიანებულ საავტომობილო გზაზე საყრდენი კედლის მოწყობის და იმერეთის ქუჩაზე სტიქიის ლიკვიდაციის ღონისძიებისათვის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოებზე, ტენდერების განმეორებით გამოცხადების მიზნით მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურები

<u>სოფლის მხარდაჭერის პროგრამა</u>

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის # 654 დადგენილებით სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესაბამისად, დამტკიცდა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“, რომელიც ითვალისწინებს სოფლებისათვის სოციალურ–ეკონომიკური საჭიროებების დაფინანსებას მათ შორის, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციას და ამ პროცესში სოფლის მოსახლეობის მაქსიმალურ ჩართულობას.

საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ძირითადი მიზნებია :

- პროგრამით გათვალისწინებული თანხის წარმართვა სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებათა დასაფინანსებლად;
- ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტა, უშუალოდ სოფლის მოსახლეობის მიერ დასახული პრიორიტეტების შესაბამისად;
- მოსახლეობასა და მუნიციპალიტეტს შორის ურთიერთკავშირის გაძლიერება.

2021 წლის 05 თებერვლის # 168 განკარგულების შესაბამისად, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ტყიბულის მუნიციპალიტეტზე გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 542 000 ლარი.

გამოყოფილი თანხები, სოფლის კრებებზე (კონსულტაციები) განსაზღვრული პრიორიტეტების მიხედვით, საჯარო განხილვის საფუძველზე გადანაწილდა 47 სოფელზე, სულ 53 პროექტი.

შერჩეული 53 პროექტიდან, 47 მიმართულება სამუშაოებს განეკუთვნება, დანარჩენი 6 პროექტი საქონლის შესყიდვაა.

დაგეგმილი პროექტებიდან ამ ეტაპზე დასრულებულია 32 პროექტი და მიმდინარეობის პროცესშია 21 სამუშაო. (დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართში).

<u>საჯარო სკოლების მცირე რეაბილიტაციის პროგრამა</u>

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 04 თებერვლის # 147 განკარგულებით მონიჭებული დელეგირებული უფლებამოსილების თანახმად, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მიერ დაიგეგმა სოფელ გურნის საჯარო სკოლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

გამოყოფილი თანხიდან რეაბილიტაციის სამუშაოებზე, ტენდერის წესით გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს. „ენდეკა ბილდინგი“ (ხელშეკრ. ღირ-ბა 71 700 ლარი).

პროექტის ფარგლებში სამუშაოები მიმდინარეობს, დასრულების ვადაა 2021 წლის 05 ნოემბერი.

<u>მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი</u>

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 12 აპრილის # 589 განკარგულების შესაბამისად, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოიყო 604 325 ლარი.

აღნიშნული თანხა მიმართულია სოფელ მუხურაში, არსებული საავტომობილო გზების რეაბილიტაციის პროექტზე:

სოფ მუხურაში (საკვირაოს უბნის გაგრძელება) შიდა სასოფლო გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია ღირებულებით - 316789 ლარი;

სოფ.მუხურაში(ტელმანის უბანი) შიდა სასოფლო გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია ღირებულებით - 210000 ლარი;

სოფ.მუხურაში(კირკიტაძეები II) შიდა სასოფლო გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია ღირებულებით -77536 ლარი.

დღეის მდგომარეობით, სამუშაოები სამივე მიმართულებით დასრულებულია. შემსრულებელი ფირმა შ.პ.ს. „მეკა“. მიმდინარეობს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების პროცედურები.

<u>ადგილობრივი ბიუჯეტის პროგრამა</u>

2021 წლის საანგარიშო პერიოდისათვის დაიგეგმა შემდეგი სახის ინფრასტრუქტურული პროექტები:

- ✓ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების შეკეთება.
  სამუშაოები ჩატარდა 7 ერთეულ კორპუსზე. შემსრულებელი შ.პ.ს. „ბერმუხა“(ხელშ. ღირ-ბა-51 898 ლარი). სამუშაოები დასრულებულია.
- ✓ სოციალური სახლის სასადილოს და ქორეოგრაფიული სტუდიის იატაკის რეაბილიტაცია.
  შემსრულებელი შ.პ.ს. „ტრანსი“(ხელშ. ღირ-ბა-14 297 ლარი). სამუშაოები დასრულებულია.
- ✓ ხრესილის ამბულატორიის იატაკის რეაბილიტაცია
  შემსრულებელი ინდ. მეწარმე შოთა კუბლაშვილი(ხელშ. ღირ-ბა-3 777 ლარი). სამუშაოები დასრულებულია.
- ✓ ქალაქის # 5 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია
  შემსრულებელი შ.პ.ს. „ზულე“(ხელშ. ღირ-ბა-18 179 ლარი). სამუშაოები დასრულებულია.
- ✓ ქ.ტყიბულში, ოკრიბის ქუჩაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული საყრდენი კედლის რეაბილიტაცია
  შემსრულებელი შ.პ.ს. „ოკრიბა 21“(ხელშ. ღირ-ბა-23 132 ლარი). სამუშაოები დასრულებულია.
- ✓ ქალაქ ტყიბულში, ახობაძის ქუჩაზე # 1 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავის რეაბილიტაცია
  შემსრულებელი ინდ. მეწარმე ბადრი გურაბანიძე (ხელშ. ღირ-ბა-20 888 ლარი). სამუშაოები დასრულებულია.
- ✓ ქალაქ ტყიბულში, # 3 საბავშვო ბაღში ლიფტის მოწყობა
  შემსრულებელი შ.პ.ს. „თაგი“(ხელშ. ღირ-ბა-19 750 ლარი). სამუშაოები დასრულებულია.
- ✓ ქ. ტყიბულში, გორგიძის ქ-ზე სკვერის შემოღობვის სამუშაოები.
  შემსრულებელი შ.პ.ს. „ბობოია“(ხელშ. ღირ-ბა-15 770 ლარი). სამუშაოები დასრულებულია. მიმდინარეობს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისათვის საჭირო პროცედურები.

- ✓ მუნიციპალიტეტის რიგი სოფლების შიდა გზების მოხრეშვა
  შემსრულებელი შ.პ.ს. „ოკრიბა 21“(ხელშ. ღირ-ბა-88 458 ლარი). სამუშაოები დასრულებულია.

საპილოტე რეგიონების განვითარების ინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში გასულ წელს მუნიციპალიტეტმა წარმატებით განახორციელა სოფელ საწირის ერთ-ერთი უბნის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ანალოგიურად, მიმდინარე წელს მივიღეთ მონაწილეობა კონკურსში და ჩვენს მიერ წარდგენილი პროექტი: ”ადგილობრივი ბიზნესის განვითარების მხარდასაჭერად ასფალტო/ბეტონის საფარიანი გზების მოწყობა სოფელ გელათში“, მოწონებული იქნა საკონსულტაციო საბჭოს მიერ.

აქედან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 15 ოქტომბრის # 1838 განკარგულების საფუძველზე, 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების განვითარების ინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტის დასაფინანსებლად, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიას გამოეყო 1 298 968 ლარი.

აღნიშნული დაფინანსების ფარგლებში, გამოცხადდა ელ. ტენდერი რომელიც გაიმართება ა/წლის 09 ნოემბერს. პროექტის დასრულების შედეგად სოფელ გელათის ოთხ უბანში მოეწყობა 3 კმ-იანი სიგრძის ბეტონის საფარიანი გზა.

დანართი №2

დამტკიცებულია:

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2021 წლის 09 ნოემბრის საკრებულოს სხდომაზე.

სოფლის პროგრამა

სოფელი	პროექტის დასახელება	შესყიდვის ტიპი	შემსრულებელი	სახ, ღირ-ბა	დაწყება	დასრულება	ფაქტიური შესრულება %
გურნა	გოგელაშვილების უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.	NAT210015191	შ.პ.ს. "ევროტექნიქსი"	13801	09.09.2021	07.12.2021	0
ანტორია	ბუბაშვილების და დალალიშვილების უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.	NAT210015191	შ.პ.ს. "ევროტექნიქსი"	9358	09.09.2021	07.12.2021	0
ბობოთი	ხუციბერიძეების უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.	NAT210015191	შ.პ.ს. "ევროტექნიქსი"	9548	09.09.2021	07.12.2021	0
კითხიჯი	ბაბუხადიების უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.	NAT210015191	შ.პ.ს. "ევროტექნიქსი"	9630	09.09.2021	07.12.2021	0
კისორეთი	წისქვილის შენობის რეაბილიტაცია.	CPV 45453000	შ.პ.ს."ენდეკა ბილდინგი"	9700	03.08.2021	25.10.2021	5
კორეეთი	"გუნელეთის" ღელეზე ბოგირის მოწყობა.	CPV 45212130	ინდ. მეწარმე შოთა კუბლაშვილი	9700	29.09.2021	30.11.2021	0
ნაძვა	ქასრაძეების და ნიშნიანიძეების უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.	NAT210015191	შ.პ.ს. "ევროტექნიქსი"	9595	09.09.2021	07.12.2021	0

ციხია	"სარეცხელას" ღელეზე ბოგირის მოწყობა.	CPV 45212130	ინდ. მეწარმე შოთა კუბლაშვილი	9674	29.09.2021	30.11.2021	0
კურსები	ქაშიბაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	NAT210015190	შ.პ.ს. "ევროტექნიქსი"	15409	09.09.2021	07.12.2021	0
კურსები	მაღაროს დასახლებაში ბეტონის სანიაღვრე არხების შესყიდვა	NAT210017559	შ.პ.ს. "ჯეო კონსტრაქშენი"	4000	24.09.2021	29.09.2021	100
გელათი	დოღონაძეების, კბილაშვილების და ჯანგავაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.	NAT210015190	შ.პ.ს. "ევროტექნიქსი"	15387	09.09.2021	07.12.2021	0
მოწამეთა	შიდა საუბნო გზაზე ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობა.	CPV 45212000	შ.პ.ს. "ჯეო როუდ ინვესტი"	9699	24.09.2021	20.10.2021	100
მუხურა	მუხურა-მუჯირეთის დამაკავშირებელ გზაზე ბოგირის რეაბილიტაცია	CPV 45212130	შ.პ.ს."ენდეკა ბილდინგი"	14637	29.07.2021	25.10.2021	10
მუხურა	საკვირაო-ბუიძეების უბნის დამაკავშირებელი შიდა გზის მოხრეშვა	CPV 45233200	შ.პ.ს."ენდეკა ბილდინგი"	4761	03.08.2021	10.10.2021	100
ორპირი	გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	NAT210015190	შ.პ.ს. "ევროტექნიქსი"	12467	09.09.2021	07.12.2021	100
ორპირი	სანაგვე ურნების შესყიდვა	CPV 44613700	შ.პ.ს. "ორიენტი"	2840	12.10.2021	30.10.2021	100
ზედა ჭყეპი	გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	NAT210015190	შ.პ.ს. "ევროტექნიქსი"	9872	09.09.2021	07.12.2021	100
კოკა	დოღონაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	NAT210015190	შ.პ.ს. "ევროტექნიქსი"	9060	09.09.2021	07.12.2021	100
ლაფეთი	ხიდ-ბოგირის რეაბილიტაცია	CPV 45212130	შ.პ.ს."ენდეკა ბილდინგი"	9700	03.08.2021	25.10.2021	10
მანდიკორი	გარე განათების მოწყობა	NAT210011770	შ.პ.ს."გჯ 2019"	7328	09.08.2021	07.11.2021	100

ნაბოსლევი	ხუჯაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	NAT210015190	შ.პ.ს. "ევროტექნიქსი"	12817	09.09.2021	07.12.2021	100
ნაბოსლევი	სანაგვე ურნების შესყიდვა	CPV 44613700	შ.პ.ს. "ორიენტი"	2130	12.10.2021	30.10.2021	100
ოხომირა	გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	NAT210015190	შ.პ.ს. "ევროტექნიქსი"	9060	09.09.2021	07.12.2021	100
ქვედა ჭყეპი	გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	NAT210015190	შ.პ.ს. "ევროტექნიქსი"	9060	09.09.2021	07.12.2021	100
შუყერი	გარე განათების მოწყობა	NAT210011770	შ.პ.ს."გჯ 2019"	8163	09.08.2021	07.11.2021	100
ჯონია	გზის მოხრეშვა	CPV 45233200	ი/მ გოჩა მანაგაძე	9683	10.08.2021	05.09.2021	100
საწირე	სოფლის ცენტრში სკვერის მოწყობა(ძელსკამების შესყიდვა).	CPV 45212130	ი/მ თამაზ მაწკეპლაძე	15516	19.07.2021	30.08.2021	100
ახალსოფელი	რიჟამაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	NAT210015189	შ.პ.ს. "ნიუ-იბერია"	12073	08.09.2021	06.12.2021	0
ბზიაური	ხიდის მოაჯირების მოწყობა, გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	NAT210015189	შ.პ.ს. "ნიუ-იბერია"	9339	08.09.2021	06.12.2021	100
დაბაძველი	წყლის მილების შესყიდვა	SPA210002238	შ.პ.ს. "უნივერსალი 2020"	9127	14.09.2021	04.10.2021	100
ზედუბანი	ცეცხლაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	NAT210015189	შ.პ.ს. "ნიუ-იბერია"	9339	08.09.2021	06.12.2021	10
სამტრედია	ცქიფურიშვილების უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	NAT210015189	შ.პ.ს. "ნიუ-იბერია"	12073	08.09.2021	06.12.2021	100

მანჭიორი	წყლის ავზის რეაბილიტაცია(მილების შესყიდვა).	CPV 45232150	შ.პ.ს."ენდეკა ბილდინგი"	10000	03.08.2021	25.10.2021	5
ძიროვანი	გარე განათების მოწყობა	NAT210011770	შ.პ.ს."გჯ 2019"	8403	09.08.2021	07.11.2021	100
ძიროვანი	წყლის მილების შესყიდვა	SPA210002238	შ.პ.ს. "უნივერსალი 2020"	485	14.09.2021	04.10.2021	100
სოჩხეთი	არსებული სკვერის ღობის რეაბილიტაცია	CPV 45212130	შ.პ.ს."ენდეკა ბილდინგი"	11541	03.08.2021	25.10.2021	40
ძმუისი	გარე განათების მოწყობა (დასრულება)	NAT210011770	შ.პ.ს."გჯ 2019"	7207	09.08.2021	07.11.2021	100
წყნორი	"სოღორას" და "ნაფერავას" უბნის ბოგირების რეაბილიტაცია	CPV 45212130	ინდ. მეწარმე შოთა კუბლაშვილი	19267	29.09.2021	30.11.2021	0
ცუცხვათი	ლანჩავა და ცირეკიძეების უბნებში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	NAT210015189	შ.პ.ს. "ნიუ-იბერია"	16098	08.09.2021	06.12.2021	100
ხრესილი	გარე განათების მოწყობა	NAT210011770	შ.პ.ს."გჯ 2019"	8609	09.08.2021	07.11.2021	100
ახალდაბა	გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	NAT210015189	შ.პ.ს. "ნიუ-იბერია"	10039	08.09.2021	06.12.2021	100
ბუეთი	წყლის მილების შესყიდვა	SPA210002238	შ.პ.ს. "უნივერსალი 2020"	9270	14.09.2021	04.10.2021	100
გადაღმა წყალწითელა	გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	NAT210015189	შ.პ.ს. "ნიუ-იბერია"	9339	08.09.2021	06.12.2021	0
გადმოღმა წყალწითელა	ბოგირის რეაბილიტაცია						100
ივანეული	გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	NAT210015189	შ.პ.ს. "ნიუ-იბერია"	9339	08.09.2021	06.12.2021	100
ლეღვა	გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	NAT210015189	შ.პ.ს. "ნიუ-იბერია"	9339	08.09.2021	06.12.2021	0

ძუყნური	წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა(მილების შესყიდვა).	CPV 45232150	შ.პ.ს."ენდეკა ბილდინგი"	2910	03.08.2021	25.10.2021	10
ძუყნური	გარე განათების მოწყობა	NAT210011770	შ.პ.ს."გჯ 2019"	5167	09.08.2021	07.11.2021	100
ჯვარისა	გიორგაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	NAT210015191	შ.პ.ს. "ევროტექნიქსი"	11750	09.09.2021	07.12.2021	0
ლაშია	აფხაიძეების უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	NAT210015191	შ.პ.ს. "ევროტექნიქსი"	9792	09.09.2021	07.12.2021	100
ლეყერეთი	გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	NAT210015191	შ.პ.ს. "ევროტექნიქსი"	9843	09.09.2021	07.12.2021	100
ოჯოლა	ასათიანების უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	NAT210015191	შ.პ.ს. "ევროტექნიქსი"	9741	09.09.2021	07.12.2021	0
ხორჩანა	გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	NAT210015191	შ.პ.ს. "ევროტექნიქსი"	9671	09.09.2021	07.12.2021	0